ხელშეკრულება N-94

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ნინოწმინდა 18 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ ნინოწმინდას მუნიციპალიტეტის მერია, მერის **ანივარდ მოსოიანის** სახით და მეორეს მხრივ სსიპ "მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"-ს დირექტორი **ირაკლი ათუნაშვილი,** საიდენტიფიკაციო კოდი: 224072928, მისამართი: ქ. ახალციხე. თამარ მეფის 6, სახელმწიფო ხაზინა: ბანკის კოდი: TRESGE22, ანგარიშის ნომერი: 708277499 (შემდგომში "მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე; მიმწოდებელი ჩაატარებს ქ. ნინოწმინდაში თიატრალური სპეკტაკლის ჩვენება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული მომსახურება გაუწიოს შემდეგ თანხაზე: 2000 (ორი ათას) ლარი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ქ. ნინოწმინდაში თიატრალური სპეკტაკლის ჩატარება, კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 92300000

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარი.

4.2 მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. ნინოწმინდა ტერიანის ქ. N-1.

4.3 მომსახურეობის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების დადებიდან 10 ნოემბრამდე.**

4.4 ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 18 ოქტომბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და ვარგისიანობაზე. (დროულობაზე)

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდთხვევაში, აუნაზღაუროს მას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება - ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტების გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდა ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2 ანგარიშსწორება მოხდება გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ 10 დღეში.

9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

9.2 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი 716 ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის - 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირადობების შემთხვევისა თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას ორივე ორგანიზაციისათვის.

9.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების სანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულებების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლობისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შელსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნება ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს საწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთი შემცირებით და სხ.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიწეწების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეების მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ს ოდენობით.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შეხახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაყწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში; გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში მითითებულ 5 პროცენტს.

14.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ , რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე

17. მხარეთა ხელმოწერა, მეჭედი

შემსყიდველი:

ნინოწმინდას მუნიციპალიტეტის მერი: Anivard Mosoyan Digitally signed by Anivard Mosoyan Date: 2019.10.18 17:07:13 +04'00' ანივარდ მოსოიან

მიმწოდებელი:

სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

დირექტორი: LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre Digitally signed by LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre Date: 2019.10.18 17:14:57 +04'00' ირაკლი ათუნაშვილი